



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
სამინისტროს 2009 წლის ჯანმრთელობის დაცვის, ექიმთა უწყვეტი სამედიცინო
განათლების, სამედიცინო-პროფილაქტიკური და სოციალური დაცვის
პროგრამების 12 თვის შესრულების ანგარიში

ქ. ბათუმი
8 იანვარი, 2010 წელი

2008 წლის 30 დეკემბერს დამტკიცდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2009 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტი, (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2009 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ №25 უ.ს.რ.ს.), რომლის საფუძველზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ 2009 წლის 6 იანვრის №2 განკარგულებით დამტკიცდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2009 წლის ჯანმრთელობის დაცვის, ექიმთა უწყვეტი სამედიცინო განათლების, სამედიცინო-პროფილაქტიკური და სოციალური დაცვის პროგრამები, საერთო თანხით – 2 324 266 ლარი. მათ შორის:

ა). ამბულატორიული დახმარების პროგრამა (ბიუჯეტი – 165 116 ლარი):

ა.ა) მუნიციპალიტეტების ცენტრებში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის დამატებითი შრომის ანაზღაურების კომპონენტი – 165 116 ლარი;

ბ). სტაციონარული დახმარების პროგრამა (ბიუჯეტი – 1 471 600 ლარი):

ბ.ა) რესურსტევადი, მაღალტექნოლოგიური (გულის ქირურგიის) სამედიცინო მომსახურების კომპონენტი – 650 000 ლარი;

ბ.ბ) ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური დახმარების კომპონენტი – 121 600 ლარი;

ბ.გ) დამატებითი სამედიცინო დახმარების კომპონენტი – 700 000 ლარი;

გ) სამედიცინო-პროფილაქტიკური პროგრამა:

გ.ა.) სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების კომპონენტი – 468 950 ლარი;

დ). ექიმთა გადამზადებისა და უწყვეტი სამედიცინო განათლების ხელშეწყობის პროგრამა:

დ.ა.) ახალგაზრდა ექიმ სპეციალისტთა გადამზადების კომპონენტი – 6 600 ლარი;

ე). სოციალური დახმარების პროგრამა (ბიუჯეტი – 212 000 ლარი):

ე.ა) 100 წელს გადაცილებულ მოქალაქეებზე ერთჯერადი დახმარების კომპონენტი – 37 000 ლარი;

ე.ბ) თემის სამედიცინო პუნქტების ექიმამდელი სამედიცინო დახმარების განვითარების ხელშეწყობის მიზნობრივი კომპონენტი – 175 000 ლარი.

განკარგულებით განსაზღვრული იყო დამტკიცებული მიზნობრივი პროგრამების ამოქმედება 2009 წლის 1 იანვრიდან

ბიუჯეტის I ცვლილება

2009 წლის 28 აპრილს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2009 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (№38 უ.ს.რ.ს.) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2009 წლის ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებების შედეგად ჯანმრთელობის დაცვის, ექიმთა უწყვეტი სამედიცინო განათლების, სამედიცინო-პროფილაქტიკური და სოციალური დაცვის პროგრამების ბიუჯეტი შემცირდა 53 900 ლარით, მათ შორის:

1. მუნიციპალიტეტების ცენტრებში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის დამატებითი შრომის ანაზღაურების კომპონენტი – 41 279 ლარით.

„ზოგადი ამბულატორიული მომსახურების კომპონენტის ფარგლებში მოსახლეობის პირველადი ჯანდაცვის მომსახურებით უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 27 თებერვლის №94/ო ბრძანებით გათვალისწინებული იყო მუნიციპალიტეტების ცენტრებში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის შრომის ანაზღაურება, რასაც ასევე ითვალისწინებდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ამბულატორიული დახმარების პროგრამა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე აუცილებელი გახდა მუნიციპალიტეტების ცენტრებში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის დამატებითი შრომის ანაზღაურების კომპონენტში განხორციელებულიყო ცვლილება და შეჩერებულიყო კომპონენტის მოქმედება 3 თვით (ბრძანების მოქმედების ვადა განსაზღვრულია 5 მარტიდან 5 ივნისამდე პერიოდით), რათა არ მომხდარიყო გაწეული მომსახურების ორჯერ ანაზღაურება მოქმედი პროგრამების ფარგლებში.

კომპონენტით სამედიცინო პერსონალის 3 თვის შრომის ანაზღაურება (ბანკის პროცენტის ჩათვლით) შეადგენდა 41 279 ლარს, რაც ექვემდებარებოდა შემცირებას.

2. სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების კომპონენტი – 12 621 ლარით.

კომპონენტი ითვალისწინებდა 228 ფერშლის (მედლის) შრომის ანაზღაურებას, მათთვის მედიკამენტების პაკეტის მიწოდებასა და კომუნალური (ელექტროენერგიის) ხარჯების დაფარვას.

2009 წლის 1 აპრილის მდგომარეობით კომპონენტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებისას წარმოიშვა 12 621 ლარის ეკონომია. კერძოდ: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში ვაკანტური იყო თემის სამედიცინო პუნქტის ერთი მედლის თანამდებობა – სახელფასო ფონდმა შეადგინა 407 ლარი; თემის სამედიცინო პუნქტების უმრავლესობაში ვერ იქნა მიღწეული გამრიცხველიანობა, რის გამოც ვერ დაფინანსდა ელექტროენერგიის ხარჯები, რამაც წარმოიშვა კომუნალური (ელექტროენერგიის) ხარჯების ეკონომია 12 145 ლარის ოდენობით; ექთნის ვაკანსიის გამო ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ერთი თემის სამედიცინო პუნქტს არ მიეწოდებოდა მედიკამენტები, ეკონომიამ შეადგინა 69 ლარი.

სულ 3 თვის მონაცემებით ეკონომიამ შეადგინა 12 621 ლარი, რაც ექვემდებარებოდა შემცირებას.

II ცვლილება

2009 წლის 20 ოქტომბერს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2009 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (№55 უ.ს.რ.ს.) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2009 წლის ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებების შედეგად მიზნობრივი პროგრამების ბიუჯეტი შემცირდა 432 001 ლარით, კერძოდ:

1. მუნიციპალიტეტების ცენტრებში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის დამატებითი შრომის ანაზღაურების კომპონენტი – 96 001 ლარით.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 21 ივლისის №248/6 ბრძანებით „2009 წლის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დამტკიცების შესახებ“ 2009 წლის 25 მარტის

№119/6 ბრძანებაში დამატებების შეტანის თაობაზე” დამტკიცდა პირველადი ჯანდაცვის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს მუნიციპალიტეტების ცენტრების პირველადი ჯანდაცვის ქსელში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის შრომის ანაზღაურებას, რასაც ასევე ითვალისწინებდა მუნიციპალიტეტების ცენტრებში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის დამატებითი შრომის ანაზღაურების კომპონენტი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტების ცენტრებში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის დამატებითი შრომის ანაზღაურების კომპონენტის მოქმედება ექვემდებარებოდა შეჩერებას.

2. რესურსტევადი, მაღალტექნოლოგიური (გულის ქირურგიის) სამედიცინო მომსახურების კომპონენტი – 120 000 ლარით.

კომპონენტი ითვალისწინებდა კარდიოქირურგიული ოპერაციების დაფინანსებას (თანაგადახდის პრინციპით) მოსახლეობის გარკვეული კატეგორიისათვის, რომელთა ძირითად ნაწილს წარმოადგენს „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებული ოჯახების წევრები, რომელთაც მინიჭებული აქვთ 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა და არ არიან ჩართულნი სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამაში.

2009 წელს გაიზარდა იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის მონაცემთა ერთიან ბაზაში და სარგებლობენ სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევის სერვისებით; გაფართოვდა მოსახლეობის ინდივიდუალური და კორპორატიული სამედიცინო დაზღვევით დაფარვის მაჩვენებლებიც, რამაც გამოიწვია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს „მაღალტექნოლოგიური რესურსტევადი (გულის ქირურგიის) სამედიცინო დახმარების კომპონენტის“ ფარგლებში კარდიოქირურგიული ოპერაციების დაფინანსების მიზნით მოსახლეობის მომართვიანობის შემცირება.

აღნიშნულმა განაპირობა ეკონომიის წარმოქმნა, რის გამოც კომპონენტის ბიუჯეტი ექვემდებარებოდა შემცირებას 120 000 ლარით.

3. დამატებითი სამედიცინო დახმარების კომპონენტი – 200 000 ლარით.

კომპონენტი ითვალისწინებდა გადაუდებელი (ურგენტული) სამედიცინო მომსახურების დაფინანსებას (თანაგადახდის პრინციპით) კომპონენტის ბენეფიციარებისათვის, რომლებიც ძირითად წარმოდგენილი იყო სოციალურად დაუცველი კატეგორიებით.

კომპონენტის დამტკიცებიდან ორი თვის შემდეგ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 26 თებერვლის №33 დადგენილებით „ჯანმრთელობის ნებაყოფლობითი დაზღვევით მოსახლეობის დაფარვის ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ამოქმედდა მოსახლეობის ე. წ. იაფი დაზღვევის პროგრამა, რამაც განაპირობა „დამატებითი სამედიცინო დახმარების კომპონენტის“ ბენეფიციარების რიცხვის შემცირება, შესაბამისად შემცირდა ამ კონტიგენტიდან პაციენტების მომართვიანობა.

აღნიშნულმა შვიდი თვის განმავლობაში განაპირობა მნიშვნელოვანი ეკონომიის წარმოქმნა, რის გამოც კომპონენტის ბიუჯეტი ექვემდებარებოდა შემცირებას 200 000 ლარით.

4. სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების კომპონენტი – 9 000 ლარით.

კომპონენტი ითვალისწინებდა თემის სამედიცინო პუნქტების მედლების (228 მედლა) შრომის ანაზღაურებას, თითოეულ სამედიცინო პუნქტზე მედიკამენტების პაკეტების მიწოდებას და კომუნალური ხარჯების (ელექტროენერგიის) დაფარვას.

ეკონომიის წარმოქმნა ძირითადად განაპირობა იმ გარემოებამ, რომ თემის სამედიცინო პუნქტების უმრავლესობაში შეფერხდა გამრიცხველიანობა და შესაბამისად არ დაფინანსებულა ელექტროენერგიის ხარჯები.

ოქტომბრის თვის მდგომარეობით ეკონომია შეადგენდა 9 000 ლარს, რაც ექვემდებარებოდა შემცირებას.

5. 100 წელს გადაცილებულ მოქალაქეებზე ერთჯერადი დახმარების კომპონენტი – 7 000 ლარით.

კომპონენტი ითვალისწინებდა 74 უხუცეს (100 წლისა და მეტი ასაკის) ადამიანზე ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაცემას 500 ლარის ოდენობით. ბენეფიციართა რაოდენობა (74 უხუცესი) გათვლილი იყო 2008 წლის ბოლოს მოპოვებული სტატისტიკური მონაცემებით, კომპონენტის ამოქმედებისას მათი რიცხვი შემცირდა 60-მდე, რამაც განაპირობა ეკონომიის წარმოქმნა 7 000 ლარის ოდენობით.


ყოველივე ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2009 წლის მიზნობრივი პროგრამების ღირებულება განისაზღვრა 1 838 366 ლარის ოდენობით.

კოდი	დასახელება	დამტკიცებული გეგმა
1	ჯანმრთელობის დაცვისა და ექიმთა უწყვეტი სამედიცინო განათლების პროგრამები	1,186,037
	ამგულატორიული დახმარების პროგრამა	27,837
110313	მუნიციპალიტეტების ცენტრებში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის დამატებითი შრომის ანაზღაურების კომპონენტი	27,837
	სტაციონარული დახმარების პროგრამა	1,151,600
110322	რესურსტევადი მაღალტექნოლოგიური (გულის ქირურგიის) სამედიცინო მომსახურების კომპონენტი	530,000
110323	ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური დახმარების კომპონენტი	121,600
110324	დამატებითი სამედიცინო დახმარების კომპონენტი	500,000
	ექიმთა გადამზადებისა და უწყვეტი სამედიცინო განათლების ხელშეწყობის პროგრამა	6,600
110342	ახალგაზრდა ექიმ-სპეციალისტთა გადამზადების კომპონენტი	6,600
2	სამედიცინო-პროფილაქტიკური პროგრამები	447,329
110331	სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების კომპონენტი	447,329
3	სოციალური დაცვის პროგრამები	205,000
	სოციალური დახმარების პროგრამა	205,000
110411	100 წელს გადაცილებულ მოქალაქეებზე ერთჯერადი დახმარების კომპონენტი	30,000
110414	თემის სამედიცინო პუნქტების ექიმამდელი სამედიცინო დახმარების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	175,000
	სულ ჯამი	1,838,366

2009 წლის 12 თვეში მიზნობრივი პროგრამების ფარგლებში დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 1 838 366 ლარს, შესრულებულია 1 819 734 ლარის სამუშაო, საკასო ხარჯმა შეადგინა 1 819 734 ლარი, გადახრა შეადგენს 18 632 ლარს. (იხ. ცხრილი).

№	დასახელება	2009 წლის 12 თვის დამტკიცებული გეგმა	2009 წლის 12 თვის შესრულება	2009 წლის 12 თვის საკასო ხარჯი	გადახრა (გეგმა- დაფინანსება)
მიზნობრივი პროგრამები		1,838,366	1,819,734	1,819,734	18,632
1	ჯანმრთელობის დაცვისა და ექიმთა უწყვეტი სამედიცინო განათლების პროგრამები	1,186,037	1,185,265	1,185,265	772
2	სამედიცინო-პროფილაქტიკური პროგრამები	447,329	429,469	429,469	17,860
3	სოციალური დაცვის პროგრამები	205,000	205,000	205,000	0

1. ჯანმრთელობის დაცვისა და ექიმთა უწყვეტი სამედიცინო განათლების პროგრამები



1. ამბულატორიული დახმარების პროგრამა

1.1 მუნიციპალიტეტების ცენტრებში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის დამატებითი შრომის ანაზღაურების კომპონენტი (27 837 ლარი).

კომპონენტის ბიუჯეტი შეადგენდა 165 115 ლარს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2009 წლის რესპუბლიკურ ბიუჯეტში აპრილის თვეში განხორციელებული ცვლილებების დროს პროგრამის ბიუჯეტი შემცირდა 41 279 ლარით, ოქტომბრის თვეში – 96 001 ლარით და შეადგინა 27837 ლარი.

ხელშეკრულება ერთ პირთან მოლაპარაკების გზით გაფორმდა:

შპს “ქობულეთის რაიონული საავადმყოფოსთან” 2009 წლის 16 იანვარს, სახელშეკრულებო თანხა 7 787 ლარი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2009 წლის 31 დეკემბრამდე;

შპს “ქობულეთის ბავშვთა საავადმყოფოსთან” 2009 წლის 23 იანვარს, სახელშეკრულებო თანხა 2 556 ლარი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2009 წლის 31 დეკემბრამდე;

შპს “ჩაქვის პოლიკლინიკასთან” 2009 წლის 16 იანვარს, სახელშეკრულებო თანხა 3 143 ლარი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2009 წლის 31 დეკემბრამდე;

შპს “ხელვაჩაურის რაიონული ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანებასთან” 2009 წლის 16 იანვარს, სახელშეკრულებო თანხა 4 485 ლარი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2009 წლის 31 დეკემბრამდე;

შპს “მახინჯაურის მრავალპროფილიანი პოლიკლინიკა გაერთიანებასთან” 2009 წლის 16 იანვარს, სახელშეკრულებო თანხა 1 505 ლარი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2009 წლის 31 დეკემბრამდე;

შპს “ქედის რაიონულ პოლიკლინიკასთან” 2009 წლის 16 იანვარს, სახელშეკრულებო თანხა 2 784 ლარი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2009 წლის 31 დეკემბრამდე;

შპს “შუახევის რაიონულ პოლიკლინიკასთან” 2009 წლის 16 იანვარს, სახელშეკრულებო თანხა 2 794 ლარი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2009 წლის 31 დეკემბრამდე;

შპს “ხულოს რაიონული ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანებასთან” 2009 წლის 16 იანვარს, სახელშეკრულებო თანხა 2 784 ლარი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2009 წლის 31 დეკემბრამდე;

კომპონენტით გათვალისწინებული იყო მუნიციპალიტეტების ცენტრებში დასაქმებული 81 სამედიცინო პერსონალის (ბრიგადის ექიმი – 23, ექიმი სპეციალისტი – 35, ექთანი – 23) დამატებითი შრომის ანაზღაურება, რომლებიც ემსახურება მხოლოდ მუნიციპალიტეტების ცენტრებში მცხოვრებ მოსახლეობას.


კომპონენტი მიზნად ისახავდა მატერიალური სტიმულირების გზით მუნიციპალიტეტების ცენტრებში ექიმების მოზიდვასა და დამაგრებას, რაც წლების განმავლობაში გადაუჭრელ პრობლემად რჩება, რითაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდებოდა სამედიცინო მომსახურების ხარისხი და მოცულობა, გაიზრდებოდა მოსახლეობის კმაყოფილების დონე.

ერთი ბრიგადის ექიმის სახელფასო ფონდი შეადგენდა 215 ლარს, ექიმი სპეციალისტის – 145 ლარს, ექთნის ხელფასი – 160 ლარს.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა პაციენტების ზოგადი პროფილის ექიმთან 6 602 და ვიწრო სპეციალისტთან 3 926 ვიზიტი.

დასახელება	12 თვეში					
	გეგმა	შესრულ.	დაფინანს.	რაოდენობა	გადახრა გეგ-დაფ	შესრულების %
შპს "ქობულეთის რაიონული საავადმყოფო"	7,787	7,787	7,787	3,746	0	100
შპს "ქობულეთის ბავშთა საავადმყოფო"	2,556	2,555	2,555	1,493	1	100
შპს "ჩაქვის პოლიკლინიკა"	3,143	3,143	3,143	1,435	0	100
შპს "ხელვაჩაურის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანება"	4,484	4,484	4,484	1,722	0	100
შპს "მახინჯაურის მრავალპროფილიანი პოლიკლინიკა"	1,505	1,505	1,505	445	0	100
შპს "ქედის რაიონული პოლიკლინიკა"	2,784	2,784	2,784	599	0	100

შპს "შუახევის რაიონული პოლიკლინიკა"	2,794	2,794	2,794	503	0	100
შპს "ხულოს რაიონული ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანება"	2,784	2,784	2,784	583	0	100
სულ	27,837	27,836	27,836	10,526	1	100



შენიშვნა: ფედერალური პროგრამის ამოქმედებასთან დაკავშირებით “მუნიციპალიტეტების ცენტრებში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის დამატებითი შრომის ანაზღაურების კომპონენტი” მოქმედებდა 5 მარტამდე.

1.2 სტაციონარული ღახმარების პროგრამა

1.2.1 რესურსტემალი მაღალტექნოლოგიური (ბულის ჰირურგიის) სამედიცინო მომსახურების კომპონენტი (530 000 ლარი)

კომპონენტის ბიუჯეტი შეადგენს 650 000 ლარს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2009 წლის რესპუბლიკურ ბიუჯეტში ოქტომბრის თვეში განხორციელებული ცვლილებების დროს პროგრამის ბიუჯეტი შემცირდა 120 000 ლარით და შეადგინა 530 000 ლარი.

კომპონენტის შესყიდვა განხორციელდა ორეტაპიანი საერთაშორისო ტენდერით.

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ გამოქვეყნდა გაზეთ „24 საათში“ 2009 წლის 16 იანვარს. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ორმა პრეტენდენტმა – შპს „გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრმა“ (ქვეკონტრაქტორებთან შპს „ზ.ცხაკაიას სახელობის დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ცენტრთან“ და შპს „ღია გულთან“ ერთად) და სს “ზუგდიდის მრავალპროფილიანმა კლინიკურმა საავდმყოფომ – რესპუბლიკამ“.

2009 წლის 18 თებერვალს სამინისტროს სატენდერო კომისიამ განიხილა პრეტენდენტის სატენდერო წინადადება და ცნო გამარჯვებულად შპს „გ.ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი“.

2009 წლის 20 თებერვალს შპს „გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრთან“ გაფორმდა ხელშეკრულება №001/ო.ტ. მოსახლეობის კარდიოქირურგიულ მომსახურებაზე. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 2009 წლის 31 დეკემბრამდე.

კომპონენტის ფარგლებში დაგეგმილი იყო გულის პათოლოგიებით დაავადებული მოზრდილი მოსახლეობის გარკვეული კატეგორიებისათვის კარდიოქირურგიული სამედიცინო მომსახურების მიწოდება.

კომპონენტის ბენეფიციარები იყვნენ:


- 60 წლის და მეტი ასაკის მოქალაქეები, რომლებიც არ სარგებლობდნენ სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამებით, ინდივიდუალური ან/და კორპორაციული სამედიცინო დაზღვევით;
- 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე მოქალაქეები, რომლებიც არ იყვნენ დაზღვეულნი მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამებით;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები;
- 18 წლის ასაკის ზევით მოსახლეობა თანდაყოლილი მანკებით;
- მოქალაქეები, რომელთაც განცხადება კარდიოქირურგიული დახმარების შესახებ შემოტანილი ჰქონდათ სამინისტროში 2009 წლის 1 იანვრამდე;
- 40-60 წლის ასაკის მოსახლეობა (მხოლოდ ანგიოპლასტიკა და შუნტირება).

პაციენტების კომპონენტით განსაზღვრულ კარდიოქირურგიულ მომსახურებაში ჩართვა ხორციელდება სამინისტროს მიერ.

საანგარიშო პერიოდში კარდიოქირურგიული სამედიცინო დახმარება გაეწია 120 პაციენტს, მათ შორის:

- იშემიური დაავადებების, გულის სიმსივნეების ქირურგიული მკურნალობა – 44-ს;
- ანგიოპლასტიკა – 64-ს;
- ერთი სარქვლის / აღმავალი აორტის / აორტის რკალის პროთეზირება / პლასტიკა – 7-ს;
- ორი სარქვლის და აღმავალი აორტის პროთეზირება 4-ს;
- ბენტალი – 1 პაციენტს.

კოდი	მოზრდილებში შეძენილი მანკები და გულის სისხლძარღვთა დაავადებები	რაოდენობა (მოსარგებლეთა კატეგორია)					
		60 წლის ზემოთ	1 აღმავალი განც	თანდაყოლილი მანკი	200 000 -ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე მოსახლეობა	უშვპ	40-60 წლის
650,001	იშემიური დაავადებების გულის სიმსივნეების ქირურგიული მკურნალობა	23	0	0	0	0	21
650,002	ერთი სარქვლის აღმავალი აორტის აორტის რკალის პროთეზირება პლასტიკა	1	0	2	1	3	0
650,003	ბიოლოგიური სარქველი	0	0	0	0	0	0
650,004	ბენტალი მწვავე მანკი ინფარქტის შემდგომი გართულებები სარქვლოვანი პათოლოგია პარკუჭთაშუა ძგიდის დეფექტი მარცხენა პარკუჭის ანევრიზმა	1	0	0	0	0	0
650,005	ორი სარქვლის სარქვლის და აღმავალი აორტის პროთეზირება	0	0	1	3	0	0
650,006	ანგიოპლასტიკა	30	0	0	0	0	34
სულ		55	0	3	4	3	55
		120					



დასახელება	12 თვეში					
	გეგმა	შესრულ.	დაფინანს.	რაოდენობა	გადახრა გეგ- დაუ	შესრულების %
შპს "აკად. გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი"	530,000	529,249	529,249	120	751	99.86
სულ	530,000	529,249	529,249	120	751	99.86

ინსპექტირების შედეგები:

კომპონენტი გათვალისწინებული ღონისძიებების განსახორციელებლად გაფორმებული ხელშეკრულების შესრულების კონტროლის უზრუნველყოფის მიზნით სამინისტროს შექმნილმა ინსპექტირების ჯგუფმა (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 27 თებერვლის № 16/ო ბრძანება) განახორციელა კომპონენტის შესრულების ინსპექტირება.

ინსპექტირების დროს გამოვლინდა შემთხვევები (სულ შვიდი შემთხვევა) როცა „რესურსტევადი მაღალტექნოლოგიური (გულის ქირურგიის) სამედიცინო მომსახურების კომპონენტი“-ს ფარგლებში სამედიცინო მომსახურება გაწეული ჰქონდათ არაბენეფიციარებს. ორ შემთხვევაში იმ მოქალაქეებს, რომლებიც სარგებლობდნენ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაზღვევით, ხოლო ხუთ შემთხვევაში კი კომპონენტის

ფარგლებში სამედიცინო მოსახურება გაწეული ჰქონდათ სხვადასხვა სადაზღვევო კომპანიების კორპორაციული სადაზღვევო პოლისების მქონე პირებს.

დაწესებულების მიერ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ორი პაციენტის მეურნეობისათვის არაკორექტურად (ზედმეტად) მოთხოვილი თანხა, სამინისტროს მიერ გამოიქვითა მომდევნო შერულების დაფინანსების დროს, რითაც ამ ორ შემთხვევაში არსებული დარღვევა აღმოიფხვრა. ხოლო დარჩენილ ხუთ შემთხვევაზე დაწესებულების ადმინისტრაციის ზეპირი განმარტებით მათ გააჩნიათ სადაზღვევო კომპანიების კორპორაციული სადაზღვევო პოლისები (4 მოქალაქე დაზღვეულია სადაზღვევო კომპანია „აღდაგი ბისიას“ მიე, ხოლო ერთი კი დასაზღვევო კომპანია „ტაო“ –ს მიერ), მაგრამ სადაზღვევო კომპანიებთან დადებული ხელშეკრულება (სადაზღვევო პაკეტი) არ ითვალისწინებს კარდიოქირურგიულ მომსახურებას.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს სადაზღვევო კომპანიებთან საკითხის გადამოწმება, ხარვეზების არსებობის შემთხვევაში სამინისტრო გაატარებს შესაბამის ზომებს.

1.2.2 ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური დახმარების კომპონენტი (121 600 ლარი)

კომპონენტის ბიუჯეტი შეადგენს 121 600 ლარს.

კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვა განხორციელდა ორეტაპიანი ტენდერის მეშვეობით. განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ გამოქვეყნდა გაზეთ „24 საათ“-ში 2009 წლის 16 იანვარს. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ერთმა პრეტენდენტმა – შ.პ.ს. „აჭარის ა. რ. ონკოლოგიის ცენტრმა“.


2009 წლის 18 თებერვალს სამინისტროს სატენდერო კომისიამ განიხილა პრეტენდენტის სატენდერო წინადადება და გამარჯვებულად ცნო შპს „აჭარის ა.რ. ონკოლოგიის ცენტრი“.

2009 წლის 27 თებერვალს შ.პ.ს. „აჭარის ა.რ. ონკოლოგიის ცენტრთან“ გაფორმდა ხელშეკრულება №003/ო.ტ. ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური დახმარების შესყიდვაზე. სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 121 600 ლარს. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 2009 წლის 31 დეკემბრამდე.

კომპონენტით გათვალისწინებულია ინკურაბელური პაციენტების სტაციონარული და ბინაზე მკურნალობა, მათი სამედიცინო საჭიროებების დროული და სრული შეფასება, სპეციალისტების კონსულტაციითა და კლინიკო-ლაბორატორიული გამოკვლევებით უზრუნველყოფა.

საანგარიშო პერიოდში პალიატიული სამედიცინო დახმარება სტაციონარში გაეწია 119 პაციენტს, ჰოსპისი ბინაზე ორგანიზებული იყო 106 პაციენტისათვის.

დასახელება	12 თვეში					
	გეგმა	შესრულება	დაფინანსება	რაოდენობა	გადახრა გეგ-დაფ	შესრულების %
შპს "აჭარის ა. რ. ონკოლოგიის ცენტრი"	121,600	121,600	121,600	225	0	100.0
სულ	121,600	121,600	121,600	225	0	100.0



№	პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების დასახელება	შემთხვევათა რაოდენობა	ხელფასი	მედიკ	სხვა ხარჯი	სულ
1	პალიატიური სამედიცინო დახმარება (ლაპარაცენტები, ტორაკოცენტები, ეპიცისტოსტომია)	18	0.00	0.00	0.00	7,841
2	პალიატიური სამედიცინო დახმარება (კონსერვატიული მკურნალობა)	101	0.00	0.00	0.00	41,317
	სულ სტაციონარი	119	0.00	0.00	0.00	49,158

3	ჰოსპისი ბინაზე ქ. ბათუმში მათ შორის:					26,544
3.1	ექიმის ვიზიტი	1,193	8,351	5,809	1,670	26,544
3.2	მედიკ ვიზიტი	3,968	10,714	0	0	0.00
4	ჰოსპისი ბინაზე კობულეთში მათ შორის:					11,883
4.1	ექიმის ვიზიტი	537	3,759	2,647	107	11,883
4.2	მედიკ ვიზიტი	1,790	5,370	0.00	0.00	0.00
4	ჰოსპისი ბინაზე ხელვაჩაურის რაიონში მათ შორის:					11,136
4.1	ექიმის ვიზიტი	501	3,507	2,530	100	11,136
4.2	მედიკ ვიზიტი	1,666	4,998	0	0	0.00
5	ჰოსპისი ბინაზე ქედში მათ შორის:					7,692
5.1	ექიმის ვიზიტი	159	4,134	1,120	32	7,692
5.2	მედიკ ვიზიტი	802	2,406	0	0	0
5	ჰოსპისი ბინაზე შუახევის რაიონში მათ შორის:					7,518
5.1	ექიმის ვიზიტი	156	4,056	1,109	31	7,518
5.2	მედიკ ვიზიტი	774	2,322	0	0	0

6	ჰოსპისი ბინაზე ხულოს რაიონში მათ შორის:					7,670
6.1	ექიმის ვიზიტი	162	4,536	893	32	7,670
6.2	მედის ვიზიტი	736	2,208	0	0	0
	სულ ბინაზე					72,442
მთლიანი ხარჯები (1+2)			0.00	0.00	0.00	121,600.00

ინსპექტირების შედეგები:

ინსპექტირებით გამოვლინდა არაკორექტურად (ზედმეტად) თანხის მოთხოვნის ორი შემთხვევა. პირველ შემთხვევაში არაკორექტურად მოთხოვილი იყო 53, 50 ლარი, ხოლო მეორე შემთხვევაში კი 336,88 ლარი – სამედიცინო მოსახურება გაწეული იყო არაბენეფიციარზე.

დაწესებულების მიერ არაკორექტურად მოთხოვილი აღნიშნული თანხები, სამინისტროს მიერ გამოიქვითა მომდევნო შესრულებების დაფინანსების დროს და შესაბამისად ეს ხარვეზიც აღმოიფხვრა.

ინსპექტირებით გამოვლინდა ასევე, პაციენტის ისტორიის არასრულად შევსების ფაქტებიც (პაციენტზე ჩატარებული გამოკვლევის დამადასტურებელი დოკუმენტი არ ეროვოდა პაციენტის ისტორიას). დაწესებულებამ აღნიშნული ხარვეზიც აღმოიფხვრა.

12.3 დამატებითი სამედიცინო დახმარების კომპონენტი (500 000 ლარი)

კომპონენტის ბიუჯეტი შეადგენს 700 000 ლარს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2009 წლის რესპუბლიკურ ბიუჯეტში ოქტომბრის თვეში განხორციელებული ცვლილებების დროს პროგრამის ბიუჯეტი შემცირდა 200 000 ლარით და შეადგინა 500 000 ლარი.

კომპონენტის შესყიდვა განხორციელდა ორეტაპიანი საერთაშორისო ტენდერით.

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ გამოქვეყნდა გაზეთ „24 საათში“ (№7) 2009 წლის 16 იანვარს.

ტენდერში მონაწილეობა მიიღო სამშმა პრეტენდენტმა: დაზღვევის საერთაშორისო კომპანია „ირაო“-მ, ს.ს. საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია „იმედი L“-მა და ს.ს. „ჯი პი აი ჰოლდინგმა“.

სატენდერო წინადადება წარმოადგინა ს.ს. საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია „იმედი L“-მა;

2009 წლის 18 თებერვალს სამინისტროს სატენდერო კომისიამ განიხილა პრეტენდენტის სატენდერო წინადადება და ცნო გამარჯვებულად ს.ს. საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია „იმედი L“;

2009 წლის 23 თებერვალს ს.ს. საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია „იმედი L“-თან გაფორმდა ხელშეკრულება №002/ო.ტ. დამატებითი სამედიცინო დახმარების კომპონენტით განსაზღვრულ მომსახურებაზე. სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 700 000 (შვიდასი ათასი) ლარს. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 2009 წლის 31 დეკემბრამდე.

კომპონენტი ითვალისწინებს ავტონომიურ რესპუბლიკაში რეგისტრირებული 3-14 წლის ასაკის ბავშვების და 14 წლის ზევით ასაკის მოსახლეობის ზოგიერთი კატეგორიისათვის ურგენტული სამედიცინო დახმარების მიწოდებას და თირკმლის ქრონიკული დაავადების III, IV, V სტადიის მქონე ავადმყოფების დიალიზის სეანსებით უზრუნველყოფას.

2009 წლის 12 თვეში სამედიცინო დახმარება გაეწია 733 პაციენტს: 711 პაციენტს გაეწია გადაუდებელი სტაციონარული დახმარება (მათ შორის 444-ს 3-დან 14 წლამდე ასაკის ბავშვს), თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულ 22 პაციენტს დაუფინანსდა დიალიზის სეანსები.

№	პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიების დასახელება (დეტალურად გაშიფრული)	შემთხვევათა რაოდენობა	ერთეულის ფასი	სულ ღონისძიების ხარჯი	თანაგადახდის თანხა (პაციენტის გადასახდელი) ბავშვებისთვის 20 %, მოზრდილებისთ ვის 40 %	ბიუჯეტიდან დაფინანსებ ული	ხარჯის წილი მიმდინარ ე ხარჯებთ ან (%)
2009 წელი							
სოციალური უზრუნველყოფა							
I	ამბულატორიული დახმარება	1,479		161,520	0	161,520	32.31
	სპეციალობა: ნეფროლოგია	1,479		161,520	0	161,520	32.31
	თირკმლის ქრონიკული დაავადების III, IV, V სტადია (ჰემოდიალიზი, სეანსების რაოდენობა)	532	90	47,880	0	47,880	9.58
	თირკმლის ქრონიკული დაავადების III, IV, V სტადია (ჰემოდიალიზი, სეანსების რაოდენობა)	947	120	113,640	0	113,640	22.73
II	სტაციონარული დახმარება	711		480,619	151,136	312,060	62.41
II-ა	3-15 წლამდე ბავშვთა სტაციონარული მომსახურება	444		205,556	41,111	156,411	31.28
1	ალერგოლოგია						
1.1	ასთმა						
J45	ასთმა (გამწვავების პერიოდი)	9	285	2,565	513	1,938	0.39
1.2	სტივენ-ჯონსის სინდრომი, ლაიელას სინდრომი						
L51.1	ბულოზური მრავალფორმიანი ერითემა (სტივენ-ჯონსის სინდრომი)	1	371	371	74.2	297	0.06
1.3	სხვა ალერგიული დაავადებები/მდგომარეობები						
L23	ალერგიული კონტაქტური დერმატიტი	1	101	101	20.2	81	0.02
L50	ურტიკარია	3	101	303	60.6	242	0.05
T78.3	ანგიონევროზული შეშუპება	1	101	101	20.2	81	0.02
2	გასტროენტეროლოგია						
R10.1	მუცლის ზემო ნაწილში ლოკალიზებული ტკივილი (ეპიგასტრული ტკივილი)	11	196	2,156	431.2	1,725	0.34
R10.4	სხვა და დაუზუსტებელი ტკივილი მუცლის არეში	1	196	196	39.2	157	0.03

3	დერმატო-ვენეროლოგია						
L08.0	პიოდერმია	1	186	186	37.2	149	0.03
4	ენდოკრინოლოგია						
E10	ინსულინდამოკიდებული შაქრიანი დიაბეტი (ახლადგამოვლენილი)	2	264	528	105.6	422	0.08
5	ინფექციური დაავადებები						
5.1	ნეიროინფექცია						
G00	ბაქტერიული მენინგიტი, რომელიც არ არის შეტანილი სხვა კლასიფიკაციებში	1	642	642	128.4	514	0.10
6.2	სხვა კარდიორევმატიული ავადმყოფობები						
M13.0	პოლიარტრიტი, დაუზუსტებელი	2	223	446	89.2	357	0.07
I01	რევმატული ცხელება გულის დაზიანებით	2	223	446	89.2	357	0.07
7.2	სხეულის სხვა მიდამოს დამწვრობა						
T29.0	მრავალი მიდამოს დამწვრობა დაუზუსტებელი ხარისხის (გართულებული შოკით)	1	1800	1,800	360	985	0.20
8	კრიტიკული მდგომარეობები						
G41	ეპილეფსიური სტატუსი	2	1137	2,274	454.8	1,819	0.36
I61	ინტრაცერებრული სისხლჩაქცევა	2	1137	2,274	454.8	1,819	0.36
J46	ასთმური სტატუსი	4	1137	4,548	909.6	3,524	0.70
R56.8	სხვა და დაუზუსტებელი კრუნჩხვები	8	1137	9,096	1819.2	7,201	1.44
R57.1	ჰიპოვოლემიური შოკი (ჰემორაგიული)	1	1137	1,137	227.4	910	0.18
R57.9	შოკი, დაუზუსტებელი	1	1137	1,137	227.4	910	0.18
T29.0	მრავალი მიდამოს დამწვრობა, დაუზუსტებელი ხარისხის (გართულებული შოკით)	1	1137	1,137	227.4	910	0.18
T79.4	ტრავმული შოკი	2	1137	2,274	454.8	1,819	0.36
9	ნევროლოგია						
9.1	ენცეფალიტი, მიელიტი, ენცეფალომიელიტი, გიენ-ბარეს სინდრომი						
G61.0	გიენ - ბარეს სინდრომი	1	679	679	135.8	543	0.11
9.2	განსაკუთრებული ეპილეფსიური სინდრომები						
G40.5	განსაკუთრებული ეპილეფსიური სინდრომები	1	309	309	61.8	247	0.05
9.4	ნერვული სისტემის სხვა ავადმყოფობები						
G40.0	ლოკალიზაციაზე დამოკიდებული (პარციალური) იდიოპათიური ეპილეფსია და ეპილეფსიური სინდრომები. პარციალური გულყრებით	2	235	470	94	376	0.08

G40.3	გენერალიზებული იდიოპათიური ეპილეფსია და ეპილეფსიური სინდრომები	11	235	2,585	517	2,068	0.41
G71	კუნთების პირველადი დაზიანება	1	235	235	47	188	0.04
G80	ბავშვთა ცერებრული დამბლა	2	235	470	94	376	0.08
T09.3	ზურგის ტვინის დაზიანება დაუზუსტებელ დონეზე (ქვემწვავე და აღდგენითი პერიოდი)	1	235	235	47	188	0.04
10	ნეიროქირურგია						
10.1	ზედაპირული დაზიანება და თავის ტვინის შერყევა						
S00	თავის ზედაპირული დაზიანება	1	203	203	40.6	162	0.03
S06.0	თავის ტვინის შერყევა	14	203	2,842	568.4	2,193	0.44
S06.2	თავის ტვინის დიფუზური დაზიანება	1	203	203	40.6	162	0.03
10.2	ნეიროქირურგია ინტენსიური თერაპიით						
D43	თავის ტვინისა და ცენტრალური ნერვული სისტემის გაურკვეველი და უცნობი ქცევის სიმსივნე	1	1506	1,506	301.2	1,205	0.24
G06.0	ინტრაკრანიალური აბსცესი და გრანულომა	1	1506	1,506	301.2	493	0.10
S02.0	ქალასარქველის მოტეხილობა	4	1506	6,024	1204.8	3,322	0.66
S02.1	ქალას ფუძის მოტეხილობა	1	1506	1,506	301.2	602	0.12
11.2	საშარდე სისტემის მწვავე დაავადებები						
N00	მწვავე ნეფრიტული სინდრომი	3	252	756	151.2	605	0.12
N39.0	საშარდე გზების ინფექცია, დაუზუსტებელი ლოკალიზაციის (ცხელებით/ცხელების გარეშე)	11	252	2,772	554.4	2,137	0.43
J01	მწვავე სინუსიტი (ქალასშიდა ან ორბიტალური გართულებებით)	1	750	750	150	600	0.12
13.1	V სირთულის ოპერაციები						
H33	ბადურის ჩამოცლა და გახევა	1	655	655	131	524	0.10
14	სასუნთქი სისტემის დაავადებები						
14.1	მკურნალობა ინტენსიური თერაპიით						
J15.9	ბაქტერიული პნევმონია, დაუზუსტებელი	2	697	1,394	278.8	1,115	0.22
J18	პნევმონია, გამომწვევის დაზუსტების გარეშე	13	697	9,061	1812.2	7,249	1.45
J21	მწვავე ბრონქოლიტი	1	697	697	139.4	558	0.11
14.2	მკურნალობა ინტენსიური თერაპიის გარეშე						
J02	მწვავე ფარინგიტი	2	190	380	76	304	0.06

J03	მწვავე ტონზილიტი	2	190	380	76	304	0.06
J05.0	მწვავე ობსტრუქციული ლარინგიტი [კრუპი] 'I - II ხარისხი)	17	190	3,230	646	2,584	0.52
J06	ზედა სასუნთქი გზების მრავლობითი და დაუზუსტებელი ლოკალიზაციის მწვავე ინფექციები	37	190	7,030	1406	5,572	1.11
J10.1	გრიპი სხვა რესპირატ.გამოვლინებებით, გრიპის ვირუსი იდენტ. (გრიპული ლარინგიტი)	1	190	190	38	152	0.03
J11.0	გრიპი პნევმონიით, ვირუსი არაა იდენტიფიცირებული	1	190	190	38	152	0.03
J12	ვირუსული პნევმონია, რომელიც არაა კლასიფიცირებული სხვა რუბრიკებში	1	190	190	38	152	0.03
J15.9	ბაქტერიული პნევმონია, დაუზუსტებელი	2	190	380	76	304	0.06
J18	პნევმონია, გამომწვევის დაზუსტების გარეშე	35	190	6,650	1330	5,320	1.06
J20	მწვავე ბრონქიტი (ბრონქოსპაზმი)	16	190	3,040	608	2,432	0.49
16	ორთოპედია-ტრავმატოლოგია						
16.1	ოპერაციული მკურნალობა ინტენსიური თერაპიით						
Q65.0	ბარძაყის თანდაყოლილი ამოვარდნილობა, ცალმხრივი	1	1076	1,076	215.2	430	0.09
Q65.3	ბარძაყის თანდაყოლილი ქვეამოვარდნილობა, ცალმხრივი	1	1076	1,076	215.2	861	0.17
Q65.4	ბარძაყის თანდაყოლილი ქვეამოვარდნილობა, ორმხრივი	1	1076	1,076	215.2	861	0.17
Q66	ტერფის თანდაყოლილი დეფორმაციები	2	1076	2,152	430.4	1,722	0.34
S42.2	მხრის ძვლის ზედა ბოლოს მოტეხილობა	1	1076	1,076	215.2	861	0.17
S42.4	მხრის ძვლის ქვედა ბოლოს მოტეხილობა	4	1076	4,304	860.8	3,443	0.69
S72	ბარძაყის მოტეხილობა	2	1076	2,152	430.4	1,195	0.24
16.2	ოპერაციული მკურნალობა ინტენსიური თერაპიის გარეშე						
S69	მაჯის და მტევნის სხვა და დაუზუსტებელი დაზიანებები	1	448	448	89.6	358	0.07
S62	მოტეხილობა მაჯის და მტევნის დონეზე (ღია)	2	448	896	179.2	717	0.14
S82	წვივის ძვლების მოტეხილობა, კოჭის ჩათვლით (ღია)	1	448	448	89.6	358	0.07
S82.1	დიდი წვივის ზედა ბოლოს მოტეხილობა	1	448	448	89.6	358	0.07
S92	ტერფის მოტეხილობა, კოჭ-წვივის სახსრის დაზიანების გარეშე	1	448	448	89.6	358	0.07
T14.1	სხეულის დაუზუსტებელი უზნის ღია ჭრილობა	3	448	1,344	268.8	1,075	0.22
T14.6	სხეულის დაუზუსტებელი უზნის მყესების და კუნთების დაზიანება	3	448	1,344	268.8	896	0.18
Z47	ორთოპედიული მკურნალობის შემდგომი მოვლა	1	448	448	89.6	358	0.07

16.3	კონსერვატული მკურნალობა						
S42.2	მხრის ძვლის ზედა ბოლოს მოტეხილობა	2	418	836	167.2	669	0.13
S42.4	მხრის ძვლის ქვედა ბოლოს მოტეხილობა	9	418	3,762	752.4	2,866	0.57
S52	წინამხრის მოტეხილობა	2	418	836	167.2	502	0.10
S62	მოტეხილობა მაჯის და მტევნის დონეზე	1	418	418	83.6	334	0.07
S72	ბარძაყის მოტეხილობა	5	418	2,090	418	1,672	0.33
17	უროლოგია						
17.1	IV-V სირთულის ოპერაციები						
N20	თირკმლისა და შარდსაწვეთის კენჭები	2	1052	2,104	420.8	1,683	0.34
N35	შარდსადენის შევიწროება (სტრიქტურა)	1	1052	1,052	210.4	842	0.17
17.2	I-III სირთულის ოპერაციები						
N43	ჰიდროცელე და სპერმატოცელე	7	303	2,121	424.2	1,697	0.34
18	ქირურგია						
18.1	ოპერაციული მკურნალობა ინტენსიური თერაპიით						
D58	სხვა მემკვიდრული ჰემოლიზური ანემიები (სპლენექტომია)	1	1671	1,671	334.2	1,337	0.27
D62	მწვავე პოსტჰემორაგიული ანემია	1	1671	1,671	334.2	1,337	0.27
D69.3	იდიოპათიური თრომბოციტოპენიური პურპურა (სპლენექტომია)	1	1671	1,671	334.2	1,337	0.27
K35	მწვავე აპენდიციტი	4	1671	6,684	1336.8	5,347	1.07
K56.1	ინვაგინაცია	1	1671	1,671	334.2	1,337	0.27
K56.5	ნაწლავის შეხორცებები (ჭიმები) ობსტრუქციით	1	1671	1,671	334.2	1,337	0.27
K57	ნაწლავის დივერტიკულური ავადმყოფობა	1	1671	1,671	334.2	1,337	0.27
K65	მწვავე პერიტონიტი	4	1671	6,684	1336.8	5,347	1.07
K92.2	გასტროინტესტინური სისხლდენა, დაუზუსტებელი	2	1671	3,342	668.4	2,674	0.53
M86	ოსტეომიელიტი	1	1671	1,671	334.2	945	0.19
S36	ინტრა-აბდომინალური ორგანოების დაზიანება	1	1671	1,671	334.2	1,337	0.27
S36.1	ღვიძლის და ნაღვლის ბუშტის დაზიანება	1	1671	1,671	334.2	1,337	0.27
18.2	ოპერაციული მკურნალობა ინტენსიური თერაპიის გარეშე / კონსერვატული მკურნალობა						
K35.1	მწვავე აპენდიციტი პერიტონეალური აბსცესით	2	371	742	148.4	594	0.12

K35.9	მწვავე აპენდიციტი, დაუზუსტებელი (განგრენული, კატარული, ფლეგმონური)	45	371	16,695	3339	13,356	2.67
K40.0	საზარდულის ორმხრივი ჩაჭედილი თიაქარი განგრენის გარეშე	1	371	371	74.2	297	0.06
K40.3	საზარდულის ცალმხრივი ან დაუზუსტებელი ჩაჭედილი თიაქარი განგრენის გარეშე	4	371	1,484	296.8	1,187	0.24
K40.9	საზარდულის ერთმხრივი ან დაუზუსტებელი თიაქარი ჩაჭედვის ან განგრენის გარეშე	17	371	6,307	1261.4	5,046	1.01
K42.9	ჭიპის თიაქარი ჩაჭედვის ან განგრენის გარეშე	1	371	371	74.2	297	0.06
K92.2	გასტროინტესტინური სისხლდენა, დაუზუსტებელი	4	371	1,484	296.8	1,187	0.24
L02	კანის აბსცესი, ფურუნკული და კარბუნკული	2	371	742	148.4	594	0.12
L04	მწვავე ლიმფადენიტი	2	371	742	148.4	594	0.12
M13.1	მონოართრიტი, სხვაგვარად არაკლასიფიცირებული (გონიტი)	1	371	371	74.2	297	0.06
N44	სათესლე ჯირკვლის შემოგრება	1	371	371	74.2	148	0.03
R10.0	მწვავე მუცელი (მოხსნილი დიაგნოზი)	34	371	12,614	2522.8	10,091	2.02
T14.1	სხეულის დაუზუსტებელი უზნის ღია ჭრილობა	1	371	371	74.2	297	0.06
T17	უცხო სხეული სასუნთქ გზებში	2	371	742	148.4	594	0.12
S02.6	ქვედა ყბის ძვლის მოტეხილობა	1	706	706	141.2	565	0.11
19.3	სხვა						
S02.2	ცხვირის ძვლების მოტეხილობა	2	258	516	103.2	413	0.08
20	ჰემატოლოგია						
D69.0	ალერგიული პურპურა (შონლეინ-ჰენოხის დაავადება)	1	234	234	46.8	187	0.04
D69.3	იდოპათიური თრომბოციტოპენიური პურპურა	1	234	234	46.8	187	0.04
II- ბ	მოზრთილთა სტაციონალური მომსახურება	267	3027 87	275063	110025	155,649	31.13
T78.3	ანგიონევროზული შეშუპება	2	77	154	62	92	0.02
2	ანგიოლოგია						
2.1	ოპერაციები ზოგადი გაუტკივარებითა და ინტენსიური თერაპიით						
I74	არტერიების ემბოლია და თრომბოზი	2	3202	6,404	2562	3,842	0.77
4	გინეკოლოგია						
O00	საშვილოსნოს გარე ორსულობა	4	455	1,820	728	1,092	0.22

5	ენდოკრინოლოგია						
E11.1	ინსულინდამოუკიდებელი შაქრიანი დიაბეტი, კეტოაციდოზით	1	233	233	93	140	0.03
6	კარდიოლოგია						
6.1	ინფარქტი						
I21	მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტი	20	554	11,080	4432	6,648	1.33
6.2	სხვა კარდიოლოგიური პათოლოგიები						
I20.0	არასტაბილური სტენოკარდია	11	143	1,573	629	944	0.19
I50.9	გულის მწვავე უკმარისობა	9	143	1,287	515	772	0.15
I47	პაროქსიზმული ტაქიკარდია	2	143	286	114	172	0.03
8	ნევროლოგია						
8.1	ცნს-ის ანთებითი ავადმყოფობები/ეპიზოდური და პაროქსიზმული დარღვევები/პოლინეიროპათიები						
G61	ანთებითი პოლინეიროპათია	2	396	792	317	475	0.10
G45	გარდამავალი ცერებრული იშემიური შეტევები და მასთან დაკავშირებული სინდრომ.	4	396	1,584	634	847	0.17
G46	თავის ტვინის სისხლძარღვოვანი სინდრომები ცერებროვასკულური დაავადებების დროს	3	396	1,188	475	713	0.14
8.1	ეპილეფსია/ნერვ-კუნთოვანი ავადმყოფობები/ნერვული სისტემის სხვა დაზიანებები						
G40	ეპილეფსია (სერიული გულყრები)	1	116	116	46	35	0.01
9	ნეიროქირურგია						
9.1	ოპერაციული მკურნალობა/ინტენსიური თერაპია						
S06.4	ეპიდურული სისხლჩაქცევა	3	2196	6,588	2635	3,953	0.79
S06.5	ტრავმული სუბდურული სისხლჩაქცევა	1	2196	2,196	878	1,318	0.26
S06.6	ტრავმული სუბრაქნოიდული სისხლჩაქცევა	2	2196	4,392	1757	1,976	0.40
S06.8	სხვა ინტრაკრანიალური დაზიანებანი	1	2196	2,196	878	1,318	0.26
I61	ინტრაცერებრული სისხლჩაქცევა	2	2196	4,392	1757	2,635	0.53
S02.1	ქალას ფუძის მოტეხილობა	1	2196	2,196	878	1,318	0.26
S06.3	თავის ტვინის ფოკალური დაზიანება	7	2196	15,372	6149	8,016	1.60
G91	ჰიდროცეფალია	2	2196	4,392	1757	2,635	0.53


9.2	სკალპის ღია ჭრილობა/"შერყევა"						
S01.0	სკალპის ღია ჭრილობა	1	150	150	60	90	0.02
S06.0	შერყევა	6	150	900	360	450	0.09
10	ნეფროლოგია						
N00	მწვავე ნეფრიტული სინდრომი	1	212	212	85	127	0.03
N10	მწვავე ტუბულო-ინტერსტიციული ნეფრიტი [მწვავე პიელონეფრიტი]	1	212	212	85	124	0.02
11	ოტოლარინგოლოგია						
11.1	IV სირთულის ოპერაციები						
H66.2	ქრონიკული ეპიტიმპანურ-ანტრალური ჩირქოვანი შუა ოტიტი (გართულებული ფაციალისით)	3	1128	3,384	1354	2,256	0.45
13	პულმონოლოგია						
J12-J18	პნევმონია (საშუალო და მძიმე მიმდინარეობის)	10	366	3,660	1464	2,196	0.44
J44.1	ფილტვების ქრონიკული ობსტრუქციული დაავადება გამწვავებული, დაუზუსტებელი	4	366	1,464	586	878	0.18
15	ტოქსიკოლოგია						
15.2	ბირთვადი არასამედიცინო დანიშნულების სუბსტანციების ტოქსიური ეფექტები						
T51	ალკოჰოლის ტოქსიური ეფექტი	1	129	129	52	77	0.02
T62	საკვების სახით მიღებული სხვა მავნე ნივთიერებების ტოქსიური ეფექტი	2	129	258	103	155	0.03
16	უროლოგია						
16.1	ოპერაციები ზოგადი გაუტკივარებით						
N20	თირკმლის და შარდსაწვეთის კენჭები (ობსტრუქციული უროპათია)	4	1317	5,268	2107	3,161	0.63
Q62	თირკმლის მენჯის თანდაყოლილი ობსტრუქციული დეფექტები და შარდსაწვეთის თანდაყოლილი მანკები (ობსტრუქციული უროპათია)	1	1317	1,317	527	790	0.16
N40	პროსტატის ჰიპერპლაზია (შარდის შეკავება, მაკროჰემატურია)	1	1317	1,317	527	790	0.16
16.2	ოპერაციები ადგილობრივი გაუტკივარებით						
R33	შარდის შეკავება (ოპერაცია-ეპიცისტოსტომია)	2	406	812	325	487	0.10
17	ქირურგია						
17.1	IV სირთულის ოპერაციები						
K56	გაუვალობა და ნაწლავის ობსტრუქცია	5	2463	12,315	4926	7,389	1.48
K25	კუჭის წყლული (გართულებული დეკომპენსირებული პილოროსტენოზით)	1	2463	2,463	985	1,478	0.30

S36.7	მუცლის ღრუს ორგანოების მრავლობითი დაზიანება	3	2463	7,389	2956	4,433	0.89
K85	მწვავე პანკრეატიტი	1	2463	2,463	985	1,478	0.30
K65.0	მწვავე პერიტონიტი (გავრცელებული)	7	2463	17,241	6896	8,878	1.78
17.2	III სირთულის ოპერაციები						
A48.0	აიროვანი განგრენა (კერის რადიკალური მოცილებით)	1	1172	1,172	469	703	0.14
S36.0	ელენთის დაზიანება	2	1172	2,344	938	1,406	0.28
K43.0	ვენტრალური ჩაჭედილი თიაქარი განგრენის გარეშე	1	1172	1,172	469	703	0.14
K45.0	მუცლის სხვა დაზუსტებული ჩაჭედილი თიაქარი განგრენის გარეშე (დიდი ზომის ან გიგანტური)	1	1172	1,172	469	703	0.14
I70.2	კიდურების არტერიების ათეროსკლეროზი [ათეროსკლეროზული განგრენა]	1	1172	1,172	469	703	0.14
E11.5	ინსულინდამოუკიდებელი შაქრიანი დიაბეტი პერიფერიული ცირკულაციური გართულებებით [დიაბეტური განგრენა]	2	1172	2,344	938	1,406	0.28
K26.1	თორმეტგოჯას წყლული პერფორაციით	3	1172	3,516	1406	2,110	0.42
K65.0	მწვავე პერიტონიტი (ადგილობრივი)	28	1172	32,816	13126	18,789	3.76
K80.0	ნადვლის ბუშტის კენჭი მწვავე ქოლეცისტიტით (ჩირქოვანი, განგრენული)	8	1172	9,376	3750	5,626	1.13
K40.4	საზარდულის თიაქარი განგრენით	1.00	1172	1,172	469	703	0.14
K40.3	საზარდულის ცალმხრივი ან დაუზუსტებელი ჩაჭედილი თიაქარი განგრენის გარეშე	3	1172	3,516	1406	1,702	0.34
K43.0	ვენტრალური ჩაჭედილი თიაქარი განგრენის გარეშე	4	1172	4,688	1875	2,813	0.56
S27.2	ტრავმული ჰემოპნევმოთორაქსი	1	1172	1,172	469	703	0.14
S29	გულმკერდის სხვა და დაუზუსტებელი დაზიანებანი	1	1172	1,172	469	703	0.14
K92.2	გასტროინტესტინური სისხლდენა, დაუზუსტებელი	2	1172	2,344	938	1,060	0.21
17.3	II სირთულის ოპერაციები და კონსერვატული მკურნალობა						
K35.9	მწვავე აპენდიციტი, დაუზუსტებელი (კატარული, ფლეგმონური, განგრენული)	30	595	17,850	7140	10,532	2.11
K92.0	ჰემატემეზისი (კონსერვატული მკურნალობა)	1	595	595	238	357	0.07
K92.1	მელენა (კონსერვატული მკურნალობა)	4	595	2,380	952	1,428	0.29
K92.2	გასტროინტესტინური სისხლდენა, დაუზუსტებელი (კონსერვატული მკურნალობა)	6	595	3,570	1428	2,142	0.43
K85	მწვავე პანკრეატიტი (კონსერვატული მკურნალობა)	2	595	1,190	476	714	0.14
18	ყბა-სახის ქირურგია						
18.1	ოპერაციები ზოგადი გაუტკივარებით						
S02.4	ზედაყბის მოტეხილობა	1	573	573	229	344	0.07

S02.6	ქვედაყმის მოტეხილობა	1	573	573	229	344	0.07
K10.2	ყბების ანთებითი დაზიანებები (პირის ღრუს ფსკერის, ყბისქვეშა, ყბაყურსაღეჭი, საფეთქლის მიდამოს ფლგემონები, რეტროზუბალური და ხახის გვერდ.მიდამ. აბსცესები)	1	573	573	229	344	0.07
19	ჰემატოლოგია						
19.1	თერაპია						
D69.3	იდიოპათიური თრომბოციტოპენიური პურპურა	1	654	654	262	361	0.07
19.2	ქირურგიული მკურნალობა - სპლენექტომია						
D69.3	იდიოპათიური თრომბოციტოპენიური პურპურა	1	1260	1,260	504	756	0.15
20	კრიტიკული მედიცინა						
G61.0	გილენ-ბარეს სინდრომი (კრიტიკული მდგომარეობა)	1	1827	1,827	731	1,096	0.22
I50	გულის უკმარისობა (კრიტიკული მდგომარეობა)	1	1827	1,827	731	1,096	0.22
O15	ეკლამფსია	2	1827	3,654	1462	2,192	0.44
G41	ეპილეფსიური სტატუსი	2	1827	3,654	1462	2,192	0.44
I63	თავის ტვინის ინფარქტი (კრიტიკული მდგომარეობა)	1	1827	1,827	731	876	0.18
N19	თირკმლის უკმარისობა, დაუზუსტებელი (ურემია)	1	1827	1,827	731	1,096	0.22
I61	ინტრაცერებრული სისხლჩაქცევა	1	1827	1,827	731	1,096	0.22
J96.0	სუნთქვის მწვავე უკმარისობა	3	1827	5,481	2192	3,289	0.66
R57.8	სხვა შოკი (ენდოტოქსიური შოკი)	1	1827	1,827	731	1,096	0.22
G92	ტოქსიური ენცეფალოპათია	1	1827	1,827	731	1,096	0.22
T79.4	ტრავმული შოკი	8	1827	14,616	5846	6,336	1.27
K72.0	ღვიძლის მწვავე და ქვემწვავე უკმარისობა	2	1827	3,654	1462	1,644	0.33
R57.1	ჰიპოვოლემიური შოკი (ჰემორაგიული)	2	1827	3,654	1462	1,207	0.24
სულ სამედიცინო ხარჯი		2,190		642,139	151,136	473,580	94.72
III	პროგრამის მართვის ხარჯი	0				26,400	5.28
სულ პროგრამის ხარჯი		2,190		642,139	151,136	499,980	100.00

733 მოქალაქის სამედიცინო მომსახურებისათვის გაიხარჯა 473 580 ლარი, პროგრამის მართვაში მონაწილე პერსონალის შრომის ანაზღაურებისა და სხვა ხარჯებისათვის – 26 400 ლარი.

დასახელება	12 თვეში					
	გეგმა	შესრულ.	დაფინან	რაოდენობა	გადახრა გეგ-დაფ	შესრულების %
სს საერთაშორისო სადაზღვეო კომპანია "იმედი L Internatitinal"	500,000	499,980	499,980	612	20	100.0
სულ	500,000	499,980	499,980	612	20	100.0



ინსპექტირების შედეგები:

ჰემოდიალიზის სეანსები კომპონენტის ფარგლებში დაფინანსდა 2009 წლის 1 იანვრიდან, ერთი სეანსის ღირებულება 90 ლარის ოდენობით, 2010 წლის 1 აპრილიდან ერთი სეანსის ღირებულებამ შეადგინა 120 ლარი. ჰემოდიალიზის სეანსის ღირებულება შეიცვალა „2009 წლის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 25 მარტის №119/ნ ბრძანების შესაბამისად.

გამონაკლისები: თამუნა მგელაძეს 24.02-05.03-ს შპს „ხულოს რაიონულ საავადმყოფოში“, 05.03.-ს შპს „ქ. ბათუმის დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის რესპუბლიკურ ცენტრში“, 07.03.-19.03. შპს "გ. ჟვანიას სახელობის პედიატრიული კლინიკაში" ჩატარებული აქვს მკურნალობა „დამატებითი სამედიცინო დახმარების კომპონენტით.“ გათვალისწინებული ნოზოლოგიებით. სს კომპანია „იმედი L“-ს მიერ დაფინანსდა მკურნალობა მხოლოდ შპს "გ. ჟვანიას სახელობის პედიატრიული კლინიკაში", რადგან „იმედი L“-ის მიერ შპს „ხულოს რაიონულ საავადმყოფოსა“ და შპს „ქ. ბათუმის დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის რესპუბლიკურ ცენტრში“ თ. მგელაძისათვის ჩატარებული მკურნალობა ჩაითვალა არასრულად, რის გამოც რეკონსპიტალიზაცია და მკურნალობის დასრულება მოხდა სხვა სამკურნალო დაწესებულებაში.

მოქალაქე დიანა ანკუბაიასათვის 29/VIII-დან 1/IX –დე შპს „ქ.ბათუმის დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის რესპუბლიკურ ცენტრში“ დიაგნოზით თავის ზედაპირული დაზიანება ჩატარებული მკურნალობა არ დაფინანსდა, რადგან ბენეფიციარი სტაციონარიდან გაწერის შემდეგ გართულებით განმეორებით მოთავსდა სხვა სამედიცინო დაწესებულებაში. ბენეფიციარისათვის ჩატარებული მკურნალობა, დიაგნოზით მარჯვენა თხემის ძვლების კომპრესიული მოტეხილობა (ოპერაციული მკურნალობა) პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა სს "მ. იაშვილის სახ. ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოში".

გამონაკლისი შემთხვევებში (როდესაც სამინისტროში დაგვიანებით იქნა წარმოდგენილი საბუთები-სტაციონარში მოთავსებიდან 3 დღეზე მეტი ხნის ვადაში) მოქალაქენი დაფინანსებული არიან სამინისტროდან წერილობითი ნებართვის საფუძველზე.

ინსპექტირების პერიოდში დარღვევებს ადგილი არ ჰქონია.

13.1. ახალგაზრდა მჭიმ-სპეციალისტთა გადამზადების კომპონენტი (13 800 ლარი)

კომპონენტის ბიუჯეტი განისაზღვრა 6 600 ლარით.

გათვალისწინებულია ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადება ვიწრო სპეციალობებში მიზნობრივად, ქ.ბათუმისა და აჭარის მაღალმთიანი რაიონების სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების დეფიციტური კადრებით უზრუნველსაყოფად.

კომპონენტის ფარგლებში სწავლებას გადის (სწავლების მეხუთე წელი) 3 ახალგაზრდა სპეციალისტი:

რეზიდენტურის პროგრამით: ოფთალმოლოგიაში – 1, ანგიოქირურგიაში – 1.

საექიმო სპეციალობის მაძიებლის პროგრამით: უროლოგიაში – 1.

	დასახელება	12 თვეში					
		გეგმა	შესრულ.	დაფინანს.	რაოდენობა	გადახრა გეგ-დაფ	შესრულების %
1	ახალგაზრდა ექიმ-სპეციალისტთა გადამზადების კომპონენტი	6,600	6,600	6,600	3	0	100
	სსიპ "თბილის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი"	6,600	6,600	6,600	3	0	100

ინსპექტირების შედეგები:

2009 წლის ოქტომბერის თვეში ჩატარდა ქ.თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ახალგაზრდა ექიმ სპეციალისტთა მომზადების მიზნობრივი პროგრამის მონიტორინგი (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკიდან 2006 წელს ჩარიცხულ ახალგაზრდა ექიმ-სპეციალისტთა სწავლების მეოთხე წელი). რეზიდენტურის პროგრამას გადის 5 ახალგაზრდა სპეციალისტი და ერთი საექიმო სპეციალობის მაძიებელი. მონიტორინგით რეზიდენტების მზადების პროცესში დარღვევები არ დაფიქსირებულა.


2010 წელს (სწავლების მე-5 წელი) პროფესიულ სწავლებას გააგრძელებს 2 რეზიდენტი და 1 საექიმო სპეციალობის მაძიებელი.

დღეის მდგომარეობით ამ პროგრამის ფარგლებში მომზადდა 13 რეზიდენტი და 1 საექიმო სპეციალობის მაძიებელი. ყველა მათგანმა მოიპოვა სახელმწიფო სერტიფიკატი და დასაქმდა სპეციალობის მიხედვით.

2. სამედიცინო პროფილაქტიკური პროგრამები

სამედიცინო პროფილაქტიკური პროგრამებისთვის შესრულების პროცენტული მაჩვენებელი წლის გეგმასთან მიმართებაში

სოფლის მოსახლეობის ექიმადელი სამედიცინო
დახმარების კომპონენტი



2.1 სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების კომპონენტი (447 329 ლარი)

კომპონენტის ბიუჯეტი შეადგენდა 468 950 ლარს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში აპრილის თვეში განხორციელებული ცვლილების დროს კომპონენტის ბიუჯეტი შემცირდა 12 621 ლარით, ხოლო ოქტომბრის თვეში – 9 000 ლარით და შეადგინა 447 329 ლარი.

სამინისტრომ ერთ პირთან მოლაპარაკების გზით თემის სამედიცინო პუნქტების მედლების შრომის ანაზღაურებაზე ხელშეკრულება გააფორმა 7 სამედიცინო დაწესებულებასთან, ხოლო თემის სამედიცინო პუნქტების პირველადი დახმარების მედიკამენტებით მომარაგებაზე 1 სააფთიაქო ბაზასთან.

კომპონენტი ითვალისწინებს თემის სამედიცინო პუნქტების მედლების შრომის ანაზღაურებას და პუნქტების პირველადი დახმარების მედიკამენტებით მომარაგებას.

აღნიშნული კომპონენტით 2009 წლის 12 თვეში გეგმით გათვალისწინებული იყო 370 286 ლარი შრომის ანაზღაურებისა (ერთი მედლის სახელფასო ფონდი შეადგენს 135 ლარს) და საბანკო მომსახურებისათვის, დაფინანსდა 369 880 ლარით.


თემის სამედიცინო პუნქტის 228 მედლის მიერ გაწეული სამედიცინო დახმარების (ვიზიტების) რაოდენობამ, როგორც სამედიცინო პუნქტში ასევე პაციენტის ბინაზე ვიზიტების რაოდენობამ შეადგინა 98 729.

მედიკამენტების შესაძენად გეგმით გათვალისწინებული იყო 48 772 ლარი, 177 თემის სამედიცინო პუნქტს მიეწოდა 48 755 ლარის მედიკამენტები (თვეში 1 პუნქტზე გათვალისწინებულია 23 ლარის ღირებულების მედიკამენტების პაკეტი), რაც დაფინანსდა სრულად.

კომუნალური მომსახურების (ძირითადად მოხმარებული ელექტროენერგიის) ხარჯებისათვის გეგმით გათვალისწინებული იყო 28 271 ლარი, გახარჯულია 10 834 ლარი.

ეკონომიის წარმოქმნა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ თემის სამედიცინო პუნქტების უმრავლესობაში შეფერხდა გამრიცხველიანობა და შესაბამისად ნაწილობრივ დაფინანსდა ელექტროენერგიის ხარჯები.

დასახელება	12 თვეში					
	გეგმა	შესრულ.	დაფინან	რაოდენობა	გადახრა გეგ-დაფ	შესრულების %
შპს "ქობულეთის რაიონული საავადმყოფო"	58,831	55,410	55,410	15,108	3,421	94.2
შპს "ჩაქვის პოლიკლინიკა"	17,737	16,719	16,719	7,543	1,018	94.3
შპს "ხელვაჩაურის ამბულატორიულ- პოლიკლინიკური გაერთიანება"	89,063	88,973	88,973	27,129	90	99.9
შპს "მახინჯაურის მრავალპროფილიანი პოლიკლინიკა"	3,613	3,253	3,253	1,657	360	90.0
შპს "ქედის რაიონული პოლიკლინიკა"	70,203	64,653	64,653	22,788	5,549	92.1
შპს "შუახევის რაიონული პოლიკლინიკა"	77,090	75,696	75,696	12,245	1,394	98.2
შპს "ხულოს რაიონული ამბულატორიულ- პოლიკლინიკური გაერთიანება"	82,010	76,009	76,009	12,299	6,001	92.7
შპს "ავერსი ბათუმი"	48,772	48,755	48,755	0	17	100.0
სულ	447,329	429,469	429,469	98,769	17,860	96.0



ინსპექტირების შედეგები:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 10 ივლისის №26/ო ბრძანების შესრულების მიზნით პირველადი ჯანდაცვის ქსელში აგვისტო-ნოემბერში ჩატარდა სამედიცინო სერვისის მონიტორინგი.

ქობულეთის მუნიციპალიტეტში შესწავლილი იქნა საფელ ქობულეთის, ხუცუბნის, ბობოყვათის, კვირიკეს, ალამბრის, ჩაისუბნის, ხაღას, ოჩხამურის პჯდ-ები და ბუენარის, ზედა აჭყვის, სახალვაშოსა და ციხისძირის თსპ-ები.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში კახაბრის, ურეხის, ახალშენის, ფერია-სამების, სარფის, გონიოს, თხილნარის, აჭარის წყლის, აჭარის აღმართის, ორთაბათუმის, სალიბაურის პჯდ-ები და ზედა ჯოჭოს, ერგეს, მეჯინისწყლის, ჭარნაღის, ახალისოფლის და განმეორებით ერგეს თსპ-ები.

ხულოს მუნიციპალიტეტში ზამლეთისა და უჩამბის პჯდ-ები და ბუთურაულის, ნენიის, სხევის, გოგაძეების, ჯაბნიძეების, გუნდაურისა და ცივაძეების თსპ-ები.

ქედის მუნიციპალიტეტში მახუნცეთის, წონიარისის, ცხმორისის, ზვარეს, პირველი მაისის პჯდ-ები და ახოსა და ვაიოს თსპ-ები.

არადამაკმაყოფილებელი ტექნიკური მდგომარეობა აღინიშნა შუახევის მუნიციპალიტეტის უჩამბის, ზამლეთისა და შუბნის, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სალიბაურისა და გონიოს პჯდ-ებში. მოსაწესრიგებელია წყალმომარაგება ხულოს მუნიციპალიტეტის რიყეთისა და ქედის მუნიციპალიტეტის ცხმორისის პჯდ-ებში. პრობლემის მოსაგვარებლად საკითხი დასმულია შესაბამისი მუნიციპალიტეტების გამგეობების წინაშე.


შრომის დისციპლინის დარღვევები დაფიქსირდა ხულოს მუნიციპალიტეტის დიოკნისის, ღორჯომის, შუახევის მუნიციპალიტეტის უჩამბის, ქედის მუნიციპალიტეტის მახუნცეთის, პირველი მაისისა და ზვარეს, ქობულეთის მუნიციპალიტეტის ჩაისუბნისა და ხაღას პჯდ-ებში.

შემოწმებისას სამუშაო საათებში დაკეტილი იყო ქობულეთის მუნიციპალიტეტის ზედა აჭყვის,

სახალვაშოსა და ციხისძირის, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ერგეს, ხულოს მუნიციპალიტეტის ბედლეთისა და ტაბახმელას, შუახევის მუნიციპალიტეტის ნენიის, ბუთურაულის, სხეფის, ჯაბნიძეების, ქედის მუნიციპალიტეტის აგარისა და ახოს თსპ-ები.

დარღვევებზე შესაბამისი წერილები გაიგზავნა ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტოს აჭარის ფილიალის უფროსთან ქალბატონ რუსუდან სალუქვაძესთან და შესაბამისი მუნიციპალიტეტების ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანების დირექტორებთან. დარღვევების გამო სამახურიდან განთავისუფლდა ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ დიოკნისის ექიმი თეა შენგელია, ასევე ხელშეკრულება შეუწყდა შუახევის მუნიციპალიტეტის ჯაბნიძეების, გუნდაურის, სხეფისა და ცივაძეების თსპ-ების საშუალო სამედიცინო პერსონალს. დანარჩენ შემთხვევებში გატარებულია ადმინისტრაციული სასჯელები და ყველას მიეცა მკაცრი გაფრთხილება და ანალოგიური დარღვევების გამივლინებისას დაუყოვნებლივ შეუწყდებათ შრომითი ხელშეკრულებები.

3. სოციალური ღაცვის პროგრამები



3.1 სოციალური დახმარების პროგრამა

3.1.1 100წელს გადაცილებულ მოქალაქეებზე ერთჯერადი დახმარების კომპონენტი.

კომპონენტის ბიუჯეტი განისაზღვრა 37 000 ლარით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2009 წლის რესპუბლიკურ ბიუჯეტში ოქტომბრის თვეში განხორციელებული ცვლილებების დროს პროგრამის ბიუჯეტი შემცირდა 7 000 ლარით და შეადგინა 30 000 ლარი.

კომპონენტით გათვალისწინებულია აჭარაში მცხოვრები 100 წლის და მეტი ასაკის მოქალაქეების ერთჯერადი ფულადი დახმარება. პროგრამა აქტუალური იყო იმიტომ, რომ აღნიშნული კატეგორიის მოქალაქეთა უმრავლესობა განიცდის ეკონომიკურ სიდუხჭირეს, კომპონენტის განხორციელებით ნაწილობრივ გაუმჯობესდებოდა მათი სოციალურ-ეოფითი მდგომარეობა. კომპონენტის ბიუჯეტი გათვლილი იყო 74 მოქალაქეზე (თითოეულზე 500 ლარი).

100 წელს გადაცილებულ მოქალაქეების სახელობითი სიების დაზუსტების პროცედურა დაიწყო ჯერ საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს აჭარის ფილიალიდან მასალების გამოთხოვით. მიღებული იქნა შესაბამისი სახელობითი სიები. მუნიციპალიტეტის გამგეობების სახელზე გაგზავნილი წერილების საფუძველზე მათგან 2009 წლის აპრილის თვის მდგომარეობით მიღებული იქნა ბენეფიციართა პირველადი სახელობითი სიები.

მიღებული მასალები გადამოწმებული იქნა გასული წლის აღნიშნული პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა მონაცემებთან და მოსარგებლე კონტიგენტთა საქმეები მომზადებული იქნა შესაბამისი ინსპექტირებისათვის.

2009 წლის აპრილში რაიონის მუნიციპალიტეტების ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა ადგილობრივი სამსახურების წარმომადგენლების სამინისტროში მოწვევით დამუშავდა, გადამოწმდა და დაზუსტდა სამინისტროში მიღებული მასალები და დაიგეგმა ერთობლივი ინსპექტირების ჩატარება, რომელიც განხორციელდა მ/წლის მაისის თვეში. შესაბამისად, რაიონის მუნიციპალიტეტის გამგეობებიდან წარმოდგენილი იქნა აღნიშნული კონტიგენტის კომისიურად შესწავლილი და რაიონის მუნიციპალიტეტების მირ დამტკიცებული სახელობითი სიები, დამოწმებული მუნიციპალიტეტების გამგებლების მიერ. ასევე ვადების დაცვით წარმოდგენილი იქნა სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკების მოხსენებითი ბარათები და შემოწმების აქტები.

სიების დაზუსტების შემდეგ მოსარგებლე პირთა რაოდენობამ შეადგინა 60.

2009 წლის მაისის თვეში პროგრამით დამტკიცებული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად 100 წელს გადაცილებულ მოქალაქეებზე კუთვნილი დახმარება გაიცა ბენეფიციარებზე საცხოვრებელი ადგილების შესაბამისად. ხანდაზმულებზე კუთვნილი დახმარება გაიცემოდა კომისიური წესით სამინისტროსა და მუნიციპალიტეტების გამგეობის წარმომადგენლებთან ერთად. დახმარება გაიცა:

ქ. ბათუმში – 7 ხანდაზმულზე,

ქობულეთის მუნიციპალიტეტში – 14-ზე,

ხელვაჩაურში – 8 ხანდაზმულზე,

ქედის მუნიციპალიტეტში – 9 ხანდაზმულზე,

შუახევში – 13-ზე,

ხულოს მუნიციპალიტეტში – 9-ზე.

3.1.2 თემის სამედიცინო პუნქტების ექიმამდელი სამედიცინო დახმარების განვითარების ხელშეწყობის მიზნობრივი პროგრამა (175 000 ლარი)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის დასახლებულ ადგილებში მოქმედებს თემის სამედიცინო პუნქტი. მათი არსებობა და ფუნქციონირება განპირობებულია სოფლების გეოგრაფიული მდებარეობითა და კლიმატური პირობებით. თემის სამედიცინო პუნქტების მედლები ადგილებზე უზრუნველყოფენ მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომ, უწყვეტი ექიმამდელი სამედიცინო მომსახურების მიწოდებას, რაც არსებულ პირველადი ჯანდაცვის სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია.

ათეული წლების განმავლობაში თემის სამედიცინო პუნქტები მოკლებული იყო მატერიალურ და მორალურ მხარდაჭერას, რის გამოც მათი მატერიალური ბაზა, მცირე გამოწვრთნის გარდა, გაჩანაგდა ან იმდენად ამორტიზირებულია, რომ მათი ფუნქციონირება შეუძლებელი იყო. არ ჰქონდათ ელემენტარული აღჭურვილობა.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებული 177 თემის სამედიცინო პუნქტიდან პირველ ეტაპზე (2008 წელს) რეაბილიტაცია და აღჭურვა ჩაუტარდა 50 თემის სამედიცინო პუნქტს, ხოლო 2 სამედიცინო პუნქტი აღჭურვა შესაბამისი ინვენტარით.

2009 წლისათვის გრძელდება აღჭურვა-რეაბილიტაციის მეორე ეტაპი, რომლის ფარგლებში 50 თემის სამედიცინო პუნქტში დასაქმებულ მედღას სამუშაო პირობების გაუმჯობესებისათვის გადაეცა ერთჯერადი სოციალური დახმარება 3500 ლარის ოდენობით რეაბილიტაცია-აღჭურვისათვის.

პროგრამა ამოქმედდება აპრილის თვიდან, ადგილობრივ თვითმართვებლობასთან შეთანხმებით შეირჩა და ადგილზე გასვლით მონიტორინგი ჩაუტარდა ხელვაჩაურის, ქობულეთის, ქედისა და ხულოს მუნიციპალიტეტების 50 სარეაბილიტაციო თემის სამედიცინო პუნქტს.

სარეაბილიტაციო სამუშაოები ყველა წინასწარ შერჩეულ სამედიცინო პუნქტებში დასრულებულია.

ინსპექტირების შედეგები:

თემის სამედიცინო პუნქტების ექიმადელი სამედიცინო დახმარების განვითარების ხელშეწყობის მიზნობრივი პროგრამის განხორციელებისას მარტის თვეში მონიტორინგი ჩაუტარდა ცალკეული მუნიციპალიტეტების მიხედვით 50-ვე სარეაბილიტაციოდ შერჩეულ შენობას. შუახვეის მუნიციპალიტეტის სოფელ ტაბახმელაში გამოყოფილი შენობა დაწუნებული იქნა, ხოლო სოფელ გოგინაურის თსპ-ს რეაბილიტაცია არ ესაჭიროებოდა. ტბეთის ნაცვლად რეაბილიტაციისათვის შერჩეული იქნა სოფელ ჯაბნიძეების, ხოლო გოგინაურის ნაცვლად სოფელ ლომინაურის თსპ-ები.

შემდეგი მონიტორინგი ჩატარებული იქნა ივლისი-აგვისტოს თვეებში შერჩეულ თსპ-ებში ძირითადი სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულების შემდეგ.

ხულოს მუნიციპალიტეტში 9 თსპ-სათვის აშენდა ახალი შენობა.

რეაბილიტირებული თსპ-ებიდან საუკეთესო მდგომარეობა აღინიშნა 9-ში (ხე-ერუ, ყოროლისთავი, სახალვაშო, სკურა, წყავროკა, ლომინაური, ნენია, გოგინაძეები და მილსი). კარგი მდგომარეობა – 25-ში (მეჯინისწყალი,

ზედა განახლება, კაპნისთავი, ზედა ჭარნალი, ჯიხანჯური, განახლება, ზედა აჭყვა, აჭი, ჯაბნიძეები, კვიახიძეები, ბუთურაული, ზემოხევი, ბრილი, მაწყვალთა, საციხური, მეკეიძეები, ზედა ვაშლოვანი, გელაძეები, ცხმორისი, ვაიო, აგარა, უჩხითი, ზესოფელი, ახო და სალიბაური). დამაკმაყოფილებელი – 14-ში (დავითაძეები, ჭარნალი, ზემო ჯოჭო, ახალისოფელი, ბუკნარი, გორგაძეები, ბელღეთი, ფახსა, შურმული, კალოთა, ტაბახმელა, კოლოტაური, გორგაძეები და ცინარეთი). ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ კვირიკეს თსპ-ში ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოები შეფასდა არადამაკმაყოფილებლად. დასახული ღონისძიებების შედეგად ერთი თვის განმავლობაში აღმოიფხვრა ყველა შენიშვნა.

4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2008 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის (107 072 ლარი)

ა) აჭარის ა. რ. მთავრობის თავმჯდომარის 2009 წლის 6 მარტის №29 ბრძანებების შესაბამისად აჭარის ა. რ. 2009 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან გამოიყო **3 118 ლარი**, რომლითაც დაიფარა თენგიზ დადეშელის სამედიცინო მომსახურების ხარჯები.

ბ) აჭარის ა. რ. მთავრობის თავმჯდომარის 2009 წლის 6 მარტის №30 ბრძანებების შესაბამისად აჭარის ა. რ. 2009 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან გამოიყო **5 000 ლარი**, რომლითაც მატერიალური დახმარება გაეწია 2008 წლის აგვისტოს თვეში საქართველოში განვითარებული საომარი მოქმედებების შედეგად დაღუპულ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებ გიორგი ქათამაძის ოჯახის.

გ) აჭარის ა. რ. მთავრობის თავმჯდომარის 2009 წლის 31 მარტის №42 ბრძანებების შესაბამისად აჭარის ა. რ. 2009 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან გამოიყო **5 000 ლარი**, რომლითაც მატერიალური დახმარება გაეწია 2008 წლის აგვისტოს თვეში საქართველოში განვითარებული საომარ მოქმედებებთან

დაკავშირებით სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპულ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებ ბესიკ შაინიძის ოჯახის.

დ) 2008 წლის აგვისტოს თვეში საქართველოში რუსული აგრესიის შედეგად განვითარებული საომარი მოქმედებების წლისთავთან დაკავშირებით აჭარის ა. რ. მთავრობის თავმჯდომარის 2009 წლის 4 აგვისტოს №115 ბრძანებების შესაბამისად აჭარის ა. რ. 2009 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან გამოიყო **28 000 ლარი**, რომლითაც მატერიალური დახმარება გაეწია აჭარის ომში დაღუპულთა ოჯახებს, სულ 14 ოჯახს, თითოეულს 2000 ლარის ოდენობით.

ე) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით სამინისტროს მომართა ათეულობით მოქალაქემ, რომელთა ნაწილს აღენიშნებოდა სხვადასხვა ონკოლოგიური დაავადება და საჭიროებდნენ ძვირადღირებულ ქიმიოთერაპიის, სხივური თერაპიისა და ოპერაციული მკურნალობის ჩატარებას, ხოლო ნაწილს ჰქონდათ ხერხემლისა და ქალა-ტვინის მძიმე ტრამეები, რომლებსაც გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე უკვე ჩაიტარებული ჰქონდათ მკურნალობა სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებებში მაგრამ მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო ვერ შეძლეს გაწეული მომსახურების ანაზღაურება.

აღნიშნული მოქალაქეების მკურნალობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკისაგან დაცვის მიზნით აჭარის ა. რ. მთავრობის თავმჯდომარის 2009 წლის 22 სექტემბრის №139 ბრძანებების შესაბამისად აჭარის ა. რ. 2009 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან გამოიყო **40 754 ლარი**, რომლითაც დაიფარა 11 პაციენტის სამედიცინო ხარჯები.

ვ) 2009 წლის ნოემბრის თვიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ფიქსირდებოდა გრიპისა და მწვავე რესპირატორული ინფექციების მკვეთრი მატება, გაიზარდა მოსახლეობის მომართვიანობა სამედიცინო დაწესებულებებისადმი. შესაბამისად გაიზარდა სამედიცინო პერსონალის ბინაზე გამოძახების რაოდენობა, პირველადი ჯანდაცვა გადავიდა გაძლიერებული სერვისის რეჟიმზე, სისტემა ფუნქციონირებდა გახანგრძლივებული სამუშაო დღის გრაფიკით. ვინაიდან ქვეყანაში მოქმედი პირველადი დახმარების სახელმწიფო პროგრამა არ ითვალისწინებდა ბინაზე

სამედიცინო ბრიგადის ვიზიტს, დღის წესრიგში დადგა სამედიცინო ბრიგადის დაფინანსების საკითხი, რათა მომხდარიყო არსებული სიტუაციის ადეკვატური და ეფექტური მართვა.

გრიპისა და მწვავე რესპირატორული ინფექციების გართულებებისა და სავალალო შედეგების აცილების მიზნით აჭარის ა. რ. მთავრობის თავმჯდომარის 2009 წლის 15 დეკემბრის №184 ბრძანებების შესაბამისად აჭარის ა. რ. 2009 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან ლარი გამოეყო **25 200 ლარი**, რითაც დაფინანსდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 9 სამედიცინო დაწესებულების 84 სამედიცინო ბრიგადა.

თითოეულ ბრიგადას გადაეცა 300 ლარი, მათ შორის: ბრიგადაში დასაქმებულ ექიმს – 200 ლარი, ექთანს – 50 ლარი, ხოლო 50 ლარი დაწესებულებას – სხვა დანარჩენი ხარჯებისათვის.